№ 97 მაისი 11, სამშაბათი — 1893 — მაისი 11, სამშაბათი № 97

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

ამ ნომერში რვა გვერდია.

---

**კნ. მარიამ სვიმონის ასული ფალავანდიშვილისა, ალექსანდრა გიორგის ასული ჟანჩელისა, სალომე ამირეჯიბისა, ანნა ამილახვრისა, ანასტასია თაქთაქიშვილისა, ივანე და დიმიტრი გიორგის ძენი ფალავანდიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი მეუღლისა თვისისა, ხოლო დანარჩენნი—მამისა თვისისა **თ. გიორგი დიმიტრის ძის ფალავანდიშვილისასა** და სთხოვენ მობრძანდნენ სამშაბათს, 11 მაისს, დილის 10 საათზედ სოფ. კნოლევში, საცა დაასაფლავებენ მიცვალებულს. (1—1)

---

ტფილისის სიონის საკრებულო ტაძრის **მღვდელი ანტონ მაქსიმეს ძე თოთიბაძე და მეუღლე მისი ნატალია ლუკას ასული** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ძისა მათისა **ალექსანდრესას** და სთხოვენ მობრძანდნენ ოთხშაბათს, 12 მაისს, ნაშუადღევის სამ საათზედ მიცვალებულის გამოსასვენებლად საეპარქიო სანთლის ქარხნის სახლებიდგან კუკიის სასაფლაოზედ. პანაშვიდები 12 და 7 საათზედ. (2—1)

---

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 12 მაისს,

სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში ქართულ თეატრის აქტიორებისაგან წარმოდგენილი იქნება

## კინტო

კომედია 3 მოქმედებად, თხზ. აკაკი წერეთლისა

II

## ბაჩაჩი შკაფში

ვოდევილი 1 მოქმედებად

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი სარიძისა, რჩეულოვისა; ბ-ნნი შათირიშვილი, მჭედლიშვილი, ადამიძე, საფაროვი, თამაზიშვილი და სხ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

---

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო პოეტის თ.

**ნიკოლოზ ბარათაშვილის**

მემკვიდრეთაგან განსაკუთრებული უფლება მის ნაწერების გამოცემისა. ამ საზოგადოების გამგეობა სთხოვს უმორჩილესად ყველას, ვისაც-კი მოეპოვება ჯერედ კიდევ დაუბეჭდავი მისი ლექსები, წერილები, ნათარგმნები და სხვა, ანუ საკუთარის მის ხელით დაწერილი რამ, თუნდაც იგი დაბეჭდილიც იყვეს, ინებონ და გამოგზანონ საზოგადოების კანცელარიაში (სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლა № 126). ნაწერების დაბეჭდვის შემდეგ ყველაფერი უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს. (5—1)

---

ტფილისი, 10 მაისი

ორს ჩვენს წერილში (იხ. „ივერია“ ამ წლისა №№ 77 და 81) ის აზრი გამოვსთქვით და შეძლებისა დაგვარად, კიდეც დავასაბუთეთ შეურყეველის ოფიციალურის ციფრებით, რომ ჩვენებური ნაბატონარი გლეხი დიდს გაჭირვებაშია უმამულობით. თუ მალე და დაუყოვნებლივ არ დავეხმარეთ და ცხოვრების სახსარი არ მივეცით, ჩვენი მარჩენელი და სულის ჩამდგმელი წელში გაწყდება, გაიახსირდება და მაშინ, შეძლება, ბევრიც რომ ვიცოდილოთ, საქმეს ველარა ვუშველოთ რა.

თმა ყალყზე გიდგება, როდესაც ღრმად ჩაუფიქრდები იმ სამწუხარო მდგომარეობას, თუ როგორ მოხდა, რომ ბედმა მარტო ქართველ კაცს უმტყუნა, მარტო იმას მოექცნენ დედის-ნაცვალივით და უსიყვარულოდ. ქართველ კაცს დიდი სამსახური მიუძღვის თავის პატარა, მაგრამ ტურფა სამშობლოს წინაშე, რომლის ველი და მინდორი, მთა და ბარი თავის სისხლითა აქვს მორწყული და გაპოხიერებული,

სწორედ თავის ქვეყანაში დარჩა ქართველი კაცი გარიყული, და შორიდან მოსული-კი, ჩვენდამი შემოხიზნული, თავ-შემოფარებული, უკეთეს მდგომარეობაში ჩავარდა. ამაზე მომეტებულად და მწარედ ბედის დაცინვაც ველარ წარმოგვიდგენია.

დავიწყოთ ისევ ციფრებით, დეე, იმათ ილაპარაკონ ჩვენს მაგიერ. რაც ჩვენ ვერ დავასკვნათ იმათ შემწეობით, იმას მკითხველის გონიერება და გამჭრიახობა მიხვდეს თვითონ. დარწმუნებული ვართ, ჩვენთან ისიც საფუძვლიანად ჩაუფიქრდება საქმის ვითარებას და ვისაც რა წამალი მოეძებნება, არ დაიშურებს და ჩვენისავე გაზეთის შემწეობით გამოაქვეყნებს საერთო სასარგებლოდ.

ტფილისის გუბერნიაში მხოლოდ სამს მაზრაში ბინადრობენ ესრედ-წოდებულნი მეკომურნი, ანუ, როგორც რუსები ეძახიან, „პოსელიანე“. ეს მაზრები არიან: ბორჩალოსი, ახალციხისა და ახალქალაქისა. მცირეოდენი მათი რიცხვი მოიპოვება ტფილისის მაზრაშიაც. ახალციხე და ახალქალაქი დაცარიელდა 1830 წელს, მკვიდრმა სამშობლო დასტოვა და ოსმალეთს გადიხვეწა. ნაოხარს დაეპატრონნენ არზრუმიდან მოსულნი. ასეთივე ბედი ხვდა ბორჩალოსაც. განადგურდა ეს მხარე მრავალჯერ მტრის შემოსევით. მკვიდრი გაწყდა და სხვა დაეპატრონა. აი სწორედ ამ შემოხიზნულთ ეწოდათ მეკომურნი.

სამს მაზრაში სულ ირიცხება 6902 კომლი, მათში არის 29,797 სული მამრობითის სქესისა. ნადელში მიეზომათ 103,102 დღიური სახნავი მიწა, სარწყავი და ურწყავი, სასახლკარე, სავენახე და საბაღე; მაშასადამე, თითო სულზე ოთხ დღიურზე ცოტა ნაკლები მოვა. თუ მოიგონებს მკითხველი, ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ ჩვენებურს საბატონო გლეხს სულზე ერთი დღიური ძლივს შეხვდა და ამასთანავე ათას ხუთასამდე კომლი სრულიად უმამულო დარჩა.

ამ სახით შემოხიზნულ კაცს ოთხჯერ მეტი მამული მიეცა, ვიდრე მკვიდრს. ეს კიდევ არაფერი. შემოფარებული იხდის მამულის პატრონის სასარგებლოდ მარტო მეათედს მოსავლისას და საბატონო-კი—მეოთხედს.

ეგევე მეკომურნი სარგებლობენ ან უფასოდ, ან ისეთის მცირედის ფასით, რომ სათქმელი არც-კია, 49,386 დღიურ ტყით და 75,242 დღიურ საძოვრით.

ამ გვარად მეკომურნი თითმის უზრუნველ ყოფილნი არიან მამულის მხრივ. უფრო უკეთეს მდგომარეობაში არიან მეორე ჩვენი სტუმარნი, გერმანელი ახალშენელები, რომელთა ბარგ-ბარხანას ქართველი კაცი ჰზიდავდა თავის ურმით, როცა ისინი უცხოეთიდან გვეწვივნენ. აქ მხოლოდ ერთს მაგალითს მოვიყვანთ. დღეს ახალშენს ეკატერინფელდში სდგას 109 კომლი გერმანელი. მთავრობამ მისცა იმათ სახაზინო მამული 4199 დესეტინა და თ. ორბელიანთაგან და ჩაჩიკაანთაგან ჩამორთმეული 3399 დესეტინა; სულ 7598 დესეტინა, ანუ ჩვენებურად, დღიურობით რომ ვიანგარიშოთ, 15,196 დღიური. თითო კომლს შეხვდება 139 დღიური და ცოტა მეტი. სიუხვე თუ გინდათ, სწორედ ეს არის. სხვაგან რა მოგახსენოთ და ჩვენ ფრონის ხეობაზე-კი სულ ორ-სამს კომლს კეთილშობილს თუ ექნება ამოდენა მამული.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ტფილისის სამოქალაქო პირველ-დაწყებით სასწავლებელში კლა-

---

# ფელეტონი

## ანდერძი

მოთხრობა გიუ დე-მოპასანისა

(ვუძღვნი თ. ქაიხოსრო ავალიშვილს)

მე ვიცნობდი იმ მაღალ-მაღალ ყმაწვილ კაცს, რომელსაც ერქვა რენე-დე-ბურნევალი. ის იყო თავაზიანის ხასიათისა, მხოლოდ ცოტა სევდიანი; ეტყობოდა, ბევრი რამ გამოეცადნა, და გულს უღრღნიდა გესლიანი და უწყალო ურწმუნოება, რომელსაც ერთის სიტყვით შეუძლიან მოჰგლიჯოს რიდე-ნიღაბი კაცთა ცბიერობას. ხშირად ამბობდა: „პატიოსანი კაცი არ არის ქვეყანაზედაო. თუ პატიოსანია ვინმე, პატიოსანი მხოლოდ მეტად უკეთურ და ავაზაკ კაცთან შედარებითაო“.

ყმაწვილს კაცს ჰყავდა ორი ძმა, დე-კურსილები, რომლებთანაც სანახავადაც-კი არ დადიოდა. სხვადასხვა გვარისანი რაკი იყვნენ, მეგონა, ჩემი ნაცნობი ახალგაზდა მეორე ქმარისაგან თუ მიეცა მის დედასა-მეთქი. ხშირად გამიგონია, რომ მის ოჯახში რაღაც უცნაური ამბები მოხდაო.

ყმაწვილი კაცი ძრიელ მომეწონა და მალეც დავმეგობრდით. ერთ საღამოს, როცა მასთან ვიყავი სახლში, შემთხვევით ვკითხე: „პირველის ქმრისაგან ეყოლეთ დედა თქვენს, თუ მეორესაგანა-მეთქი?“ იმას ოდნავ ფერმა გადაჰკრა, შემდეგ გაწითლდა, შეშფოთდა და რამდენსამე წამს ხმა არ ამოიღო. შემდეგ გაიღიმა ჩვეულებრივის, მშვიდობიანისა და დაღონებულის ღიმილით და მითხრა:

— ჩემო მეგობარო, თუ თავს არ მოგაწყენ, გიამბობ ვრცლად ჩემს ამბავს. ჭკვიანი კაცი ხართ და ამით თქვენს მეგობრობას არ დავკარგავ. თუ მაინც და მაინც თქვენი მეგობრობა ამ მიზეზით, ცოტადაც არის, შემცირდება, მაშინ აღარც მე დავაფასებ თქვენს მეგობრობას.

დედა ჩემი დე-კურსილის ცოლი იყო, ყოვლად უბედური და დაჩაგრული დედაკაცი; დიდი შეძლება ჰქონდა და იმიტომ შეირთო ქმარმა. კაცთ-მოყვარე, მკრთალი და ნაზი ცოლი გამუდმებულს ტანჯვაში იყო თავის ქმრის ბრიყვულის ქცევით. ეს უზრდელი და ტეტია კაცი, რომელსაც სოფლელ აზნაურშვილებს ეძახიან, უნდა გამხდარიყო ჩემი მამაც. შერთვის შემდეგ, ერთს, თთვეს არ გაუვლია, რომ მოახლეებს დაუწყო ტრფიალი. არ იწუნებდა აგრეთვე არც თავის ხიზნების ცოლებსა და ქალებსაცა. დედა ჩემთან ორის ვაჟის მეტი არ მისცემია, მესამე მე უნდა ვყოფილიყავი. დედა ჩემი სულ ჩუმად იყო და ქმარს ვერას უბედავდა. საცოდავი ისე სცხოვრობდა თავის სახლში, როგორც თაგვი, რომელიც მუდამ სოროში იმალავს თავს; არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა ოჯახში; მუდამ შეშინებული თავ-გზა დაბნეული, ყველას ისე შეჰყურებდა, თითქო საშიშარს რასმე მოელისო. ლამაზი და თეთრ-ყირმული-კი იყო. მის ქერა თმას ნაცრის ფერი დაჰკრავდა, თითქო მუდმივმა შიშმა გაუხუნაო,

ბ-ნ დე-კურსილის მეგობართა შორის, რომელნიც ხშირად დადიოდნენ მასთან, ერია ერთი სამსახურ-გარეშე მყოფი ქვრივი კაცი. დე-ბურნევალი გამბედავი, ფიცხი, გულადი ვაჟკაცი. აი ამ კაცის გვარისა ვარ მე. ის იყო მაღალი, გამხდარი, შავგვრემანი კაცი, მე ძალიან ვგევარ მას. წიგნებს ბევრსა კითხულობდა და სულ სხვა აზრების კაცი იყო, ვიდრე ისინი, რომელთა შორისაც ტრიალებდა. დედა იმის ბებიასი მეგობარი ყოფილიყო ჟ. ჟ. რუსოსი და შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამ დამოკიდებულობისა გამოჰყვა რამე იმასაც. დე-ბურნევალმა ზეპირად იცოდა Contrat sosial და ახალი ელოიზა. ეკითხნა ყველა ის ფილოსოფიური წიგნებიცა, რომელთა წყალობითაც შემდეგ შეიცვალა ძირეულად ჩვენი ძველებური ზნე-ჩვეულებანი.

დედა ჩემს და იმას შეუყვარდათ ერთმანეთი. კავშირი მათ შორის ისეთის საიდუმლოებით იყო მოცული, რომ ვერავის შეეძლო შეემჩნია. საბრალო, უყურადღებოდ დატოვებული და მწუხარე ქალი მიესაკუთრა ამ კაცს სულითა და გულით, შეითვისა მისი აზრები და მიმართულება, მისი თეორია თავისუფალის გრძნობისა, გამბედაობა დამოუკიდებულ სიყვარულისა, მაგრამ თავის მკრთალის ხა'იათის გამო ვერ ჰბედავთა ხმა-მაღლა ლაპარაკს; თავისი აზრები გულშივე ჩაიკლა, დაიმარხა ღრმად.

ჩემი ძმები ისევე ეპყრობოდნენ დედას, როგორც თავიანთ მამის საქციელს ჰხედავდნენ. დედას ერთი ალერსიანი სიტყვა არ ახსოვდა შვილებისაგან. თითქო გამზრდელი და ძიძაო, ისე ექცეოდნენ. ერთად-ერთი მე ვიყავი მისი მოყვარული და მეც დედას ძლიერ ვუყვარდი.

დედა მომიკვდა იმ დროს, როდესაც თვრამეტის წლისა შევსრულდი, უნდა გიამბო, რომ მისი ქმარი დედის ჩემის სიკვდილამდე სამართალში იყო მიცემული. სასამართლომ გადასწყვიტა, გაეყოთ ქონება ცოლ-ქმრისა. დედა ჩემს ნება მიეცა თავისი საკუთარი ქონება ისე მოეხმარებინა, როგორც უნდოდა, ისეთი ანდერძი დაეტოვებინა, როგორიც მისი სურვილი იყო.

ჩვენ მიგვიწვიეს ნოტარიუსთან ანდერძის წასაკითხად.

ყოველივე ისე მახსოვს, ვითომც გუშინ ყოფილიყოს. მეტად დრამატიული და გასაოცარი იყო ის სცენა, რომლის მიზეზიც გახდა დედა

სიდან კლასში გადასაყვანი ეგზამენები დაიწყება მაისის 19-ს და გათავდება 29-სა

*** 6 მაისს საგანგეგო მატარებლით გაემგზავრნენ ტფილისიდგან ბათუმისაკენ რკინის გზის ყველა უფროსნი; ყველა სადგური უნდა დაათვალიერონ და, სადაც საჭირო იქმნება, ყოველ გვარი ღონის-ძიება იხმარონ ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად სადგურებში, თუ ვინიცობაა წელსაც განდა.

*** 6 მაისს ტფილისი დიდმა წვიმამ და ნიაღვარმა მეტად დააზიანა. ყარაიაზში ბევრი დამრჩვალი საქონელი უპოვნიათ, ნიაღვრით მტკვარში ჩატანილი. დიდუბის იქით, რკინის გზის ლიანდაგის ერთის ბოგირის ქვეშ იპოვნეს გვამი გლეხ-კაცისა, ეტყობა ეს გვამი მწყემსისა უნდა იყოს.

*** 28 აპრილის წინაღამეს ვიღაც ავაზაკებმა გასტეხეს მართლ-მადიდებელთა ეკკლესია სოფ. ყალამშას, ბორჩალოს მაზრაში, და რაც-კი ძვირფასი რამ მოიპოვებოდა, წაიღეს: სახარება. ხატები, სანთლები და სხვ. ქურდები და მოპარული ნივთები ჯერ ვერ აღმოუჩენია პოლიციას.

*** 3 მაისს პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ნაფიც ვექილის ყარაბეგოვისა, რომელსაც ბრალდებოდა, რომ თავის წიგნში „Реформа судебныхъ уставовъ въ связи съ современнымъ состояніемъ правосудія“ — შეურაცხ-ჰყო ტფილისის სამოსამართლო პალატა. ბ-ნს ყარაბეგოვს პალატამ გარდუწყვიტა ორის თთვით დაპატიმრება და საქმის წარმოების ხარჯის გარდახდა.

*** მკითხველებმა იციან, რომ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ განიზრახა გამოსაცდელის წარმოდგენის გამართვა თეატრის მოყვარულთათვის. სანამ ამ წარმოდგენას გამართავდეს, მმართველობამ დანიშნა შინაურული გამოცდა. ერთი ამ გვარი გამოცდა იყო კვირას. სცენაზე გამსვლელის მსურველებმა წაიკითხეს ლექსები, სცენები, მონოლოგები. დაესწრნენ მხოლოდ მმართველობის წევრნი. გარეშენიც იყვნენ მსურველნი სმენისა, მაგრამ ნება არ მიეცათ. მეორე გამოცდა დანიშნულია ხუთშაბათს ყველა მოყვარულთათვის, ვინც ტფილისში სცხოვრობს. მათ თავისისავე ამორჩევით უნდა წაიკითხონ პიესების ნაწყვეტები, მონილოგები, ან სცენები და ლექსები. კითხვა დანიშნულია საარტისტო საზოგადოების დარბაზში, (Артистическій Кружокъ) სოლოლაკზე ნაშუადღევის პირველ საათზე. დაესწრობა მმართველობა და გარეშეთ-კი ნება არ მიეცემათ დასწრებისა. როგორც შევიტყეთ, მსურველთა რიცხვი ოცდაათამდე თურმეა და მათ შორის რამდენიმე ქალიც არისო.

*** განჯის გუბერნიის ბევრ ალაგას დიდძალი კალია გაჩენილა. ბაქოს გუბერნიის, ქევათის მაზრაში, აუარებელი რიცხვი კალიისა აოხრებს ნახნავ-ნათესს.

*** ფოილი (რკინის გზის სადგური): 6 მაისს ერთმა მეთევზემ პ. ბ—მა იპოვნა მტკვარში რკინის ხიდს ქვეშ ვიღაც დამრჩვალ დედა-კაცის გვამი და გამოუცხადა ეს ამბავი ჟანდარმს. მიცვალებულის პატრონი ჯერ არსადა სჩანს და მისი გვამი დღესაც თოკით არის მიბმული ხიდის ბოძზედ.

*** ხაშური: 8 მაისს ხაშურსა და ბარბარინოს სადგურ შუა გასრისა საქონლის მატარებელმა გვირაბის დარაჯი, ბეჟმელი გლეხ-კაცი ზაქარა მაჩიხაშვილი. მიცვალებული ახალგაზდა იყო. დარჩა მოხუცი მშობლები ყოვლად უნუგეშოდ.

*** ზესტაფონი: 3 მაისს მუშა მატარებელს მოჰყვა ქვეშ მუშების უფროსი ახალგაზდა გეგუთელი გლეხკაცი გიორგი კუხიანიძე და მძიმედ დაშავდა. დაშავებული ტფილისს გაჰგზავნეს, მაგრამ გზაზედ გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, მიცვალებულს დარჩენია უმოწყალოდ ცოლი და მოხუცი დედ-მამა.

*** განჯა: 9 მაისს დაასაფლავეს ყაზზეგის მიერ მოკლულნი სადგურის უფროსი კოზუმსკი და ნარიადჩიკი კისელიოვი. კოზუმსკის დარჩა ობლად ორი შვილი, კისელიევს 1 შვილი და ფეხმძიმედ ცოლი. დასაფლავებას მრავალი ხალხი დაესწრო. მკვლელობის მიზეზის შესახებ აი რას ამბობს ხალხი:

შარშან ბაქოდგან მომავალ საქონლის მატარებლის ერთი ვაგონი გაეტეხათ ავაზაკებს და საქონელი გადმოეგდოთ რკინის გზის ლიანდაგზედ. ეს ქურდობა შეიტყეს განჯის სადგურზედ, როდესაც მატარებელი დადგა, და ვაგონები გასინჯა სადგურის უფროსმა. ნამდვილი ქურდი-კი ვერ იპოვნეს და ეჭვი მიიტანეს ყაზზეგზედ ყაზზეგი დააპატიმრეს და ციხეში გაგზავნეს. შემდეგ ყაზზეგი გაანთავისუფლეს. ეს საქმე ჯერ სასამართლოში გარჩეული არ იყო, რომ მეორე ბრალიც დასდეს ყაზზეგს. შარშანვე, ზემოდ აღნიშნულ ამბის შემდეგ, ვიღასაც ყალბი ქაღალდი შეედგინა, ექსის კონდუქტორის მაგივრად ხელი მოეწერა, მისულიყო რკინის გზის მმართველობაში და კონდუქტორების მაგიერად ჯამაგირი მიეღო. სიყალბე აღმოჩნდა, და ესეც ყაზზეგს. დააბრალეს და მეორედ დააპატიმრეს ექსი თთვე იჯდა ყაზზეგი და როდესაც განთავისუფლდა, მოვიდა და მოჰკლა სადგურის უფროსი კოზუმსკი და კისელიევი, სულ ამათი ბრალია ჩემი დაპატიმრებაო.

*** გურია: გაზაფხული ილევა და ჩვენ-კი ჯერ გაზაფხულის ბრწყინვალე და საამური დღე არ გაგვითენებია. არავის ახსოვს, რომ ასე უგემურად გაზაფხულს გაეარნოს. 27 აპრილს, ნაშუადღევს ამოვარდა ქვენა ქარი დ დიდი ზარალი მოგვცა: ბევრი ხე ძირიანად მოგლიჯა, ზოგი ღეროში გადატეხა, ხეხილებს ახლად გამოსული ნაყოფი და ვაზს ფლორტები ერთიანად დააყრევინა; ბევრგან ეკკლესიებს, სახლებს და სასიმინდეებს სახურავი გადააგლიჯა და მიჰფანტმოჰფანტა. მას შემდეგ აგერ ერთ კვირაზე მეტია და, თუმცა ისე ძლიერად არა, მაგრამ მაინც ჰქრის ხან ქვენა და ხან ზენა ქარი. საკვირველი ისაა, რომ სხვა დროს ქვენა ქარი ყოველთვის წვიმის წინა-მორბედი იყო, წელს-კი მშრალად ჰქრის და ბევრ ალაგას ხვნა-თესვა გოლვის გამო შეფერხებულია.

*** 9 მაისს ლონდონის სასტუმროსთან ეტლი დაეჯახა პრასკოვია კოლაკოლოვს. ქალი წაიქცა და თავში დაშავდა. მეეტლე პასუხის-გებაში მისცეს.

*** 8 მაისს ოლგას ქუჩაზედაც ეტლი დაეჯახა ივანე ცალაპოვს. ცალაპოვი წაიქცა და მძიმედ დაუშავდა მარცხენა ფეხი. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს, მეეტლე იმაჰიმ-ოღლი პასუხის-გებაში მისცეს.

## გუჯრები დავით გარესჯის უდაბნოსი

№ 17. ნაკლულაშვილი პეტრე აძლევს 1751 წ. ნოემბრის 11-ს ნასყიდობის წერილს ბოდბელ-მიტროპოლიტს და წმ. დავითის მონასტრის მამას იოანეს: „ჩემი ძმა პასილი ლეკისაგან დამიტყვევდა. მე იმის დახსნის ღონე არა მქონდა, მამულის მეტი, და ვყიდდი. მაშინ ჩვენ ქვეყანას შიმშილით საქმე უჭირდა და სყიდვა ვერავინ შეიძლო. თქვენ შემოგეხვეწე და ჩემი მამული თქვენ მოგყიდე — ვენახი, სასახლე თავის ქვევრ-მარნითა — ათ თუმან ფულად, ცხრა ჩემი ძმის სახსარი და ერთი ჩემი ფეხის ქირაო. მოწამე — ნინოწმიდის დეკანოზი გიორგი. დაწერილია მღ-მონაზონის თომასაგან ბოდბეს წმ. ნინოს მონასტერში.

№ 18. 1753 წ. აპრილის 25: მეფე ირაკლი აძლევს ანტონ კათალიკოზის თანხმობით ბოდბელს იოანეს (თხოვნისამებრ) საწინამძღვრო დავით გარეჯის მონასტერს, „რათა მისი არვეთ მთავარი იკურთხოდეს არქიმანდრიტად, იღუმენობისა (იღუმენი) წილ არქიმანდრიტობისა ხარისხი აღუმაღლეთ, რათა შემდგომნი თქვენნი არვეთ-მთავარნი დავით გარეჯისანი მიტრითურთ არქიმადრიტად ხელ-დასხმულ იქნებოდენ და შემდგომად საქართველოს პატრიაქისა მოხსენებისა, თავისსა ეფისკოპოზსა მოიხსენებდეს მომხსენებელნი, წარმართებისათვის მეფობისა ჩვენისა“.

ამ გუჯარს ხელს აწერს კათალიკოზი ანტონიც — ჩართულით.

№ 19. ბერთუბნისათვის შეწირულის „ჩითუხის ხევის“ და „ყაზანიანის“ ოქმი რუსეთში გაჰყოლოდა იოანე მანგლელს (საააკაძეს). სოფ. ბერთუბანს მოსახლე მონასტრის ყმანი ამ მამულებს ეცილებოდნენ მონასტერსა. ნინოწმიდელ საბას მოსვლია ოქმი რუსეთიდამ, ულაპარაკნია მეფე ირაკლისთან 1774 წ. ოკტომბრის 5-ს და მამულები ისევ მონასტრისათვის დაუმკვიდრებია.

№ 20. „ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მლოცველთ — ყოვლად სამღვდელოს ნინოწმიდელს საბას, არქიმანდრიტს გერმას, არქიმანდრიტნეს ევთიმის, საგარეჯოს მოურავს ჯამასპის, ნაცვალს იესეს და ერთობით გარეჯელთ. ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას: მერმე რომელნიც მოსულნი ხიზანნი კაცნი არიან ამ სოფლებში, ვისგანაც მობარებული გვყავს, როდესაც მოითხოვენ, ხომ ვერ დაუჭერთ, უნდა მივართვათ; და რომელიც ან დიდიხნის ჩამოსული არის და ან სიტყვა გვაქვს, იმის წყალობას ვითხოვთ, რომ სამართლამდის ვერავინ აგვიყაროს ისი, და სამართალს უკან ნება ღვთისა და თქვენის ბედნიერებისა იყავს. მაისის კბ, ქორონიკონს უჲდ“ (= 1776 წ.). ამა გუჯარს ზემოდამ ირიბად წაწერილი აქვს ირაკლი მეფის ხელით: „ქ. თქვენ რომელიც ხიზანი კაცნი თავთათვის მებატონისაგან მობარებული გყავსთ, უნდა მისცეთ; და რომელიც მობარებული არა გყავსთ, უჩვენსამართლოთ ვერავინ აგიყრისთ და არცარა საქმე აქვსთ. მაისის კგ. ქორონიკონს უჲდ (1776 წ.). აზის ბეჭედი წარწერით: გარს — „ქნარს მიცემს დავით, მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულსა“. შუაზედ „ერეკლე“ ჩართულით.

ცხვილოელი

## რუსეთი

გაზ. „рус. Вѣд.“-ი ამბობს, რომ აქამდე ნავთ სადგურთ აშენებდნენ

---

ჩემი. სიკვდილს შემდეგ აღშფოთდა ეს ჩუმი და უწყინარი ადამიანი და საფლავიდამ მოითხოვა, შეასრულეთ ჩემი სურვილი, აღადგინეთ ჩემი უფლებაო. ის უშნო, მორგვივით მრგვალი და ყასაბის მსგავსი კაცი, რომელიც ჰგონებდა, რომ ვითომ ჩემი მშობელი მამა იყო, აგრედვე ჩემი ორივე ძმები ღონიერნი, ყოჩაღნი, ოც-დაორის წლისანი დამშვიდებით ისხდნენ სკამზედ და ელოდნენ ანდერძის წაკითხვას. დე-ბურნევალიც მოწვეული იყო ამ შემთხვევისთვის; შემოვიდა ისიც გაფითრებული და დადგა ჩემს უკან. წამდაუწუმ იკვნეტდა თავის გაჭაღარავებულ ულვაშებს. ალბად ჰგრძნობდა, რაც უნდა მომხდარიყო.

ნოტარიუსმა დაჰკეტა კარები, გახსნა ჩვენ თვალწინ დაბეჭდილი კონვერტი, რომლის შინაარსისა მან არაფერი არ იცოდა...

აქ ჩემი მეგობარი უეცრად გაჩუმდა; წამოდგა, გააღო კამოდი და ამოიღო რაღაც ძველი ქაღალდი, გაშალა, აკოცა და მითხრა:

— აი ანდერძი დედის ჩემისა:

„პირველად ღმერთსა ვსთხოვ შენდობას და შემდეგ — ჩემს ძვირფას შვილს რენეს, რომ ასე მოვიქეცი. მე ვიცნობ ჩემს შვილს; ის იმდენად კეთილშობილია, რომ ყველაფერს მიხვდება და მაპატიებს. მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვა და წამებაში ვიყავი. ქმარმა შემირთო მხოლოდ იმიტომ, რომ ქონება მქონდა. მისგან კეთილი არა მინახავს-რა. ვხედავდი მხოლოდ, რომ ვძულდი, მავიწროებდა და მღალატობდა.

„მიპატიებია ყოველივე, მხოლოდ არასფერში მისი მოვალე არა ვარ.

„არც ჩემს უფროს ვაჟებს ვუყვარდი; არ მახსოვს მაგათგან შებრალება და არც ალერსი, როგორიც ეკუთვნის დედას.

„სიცოცხლეში ის დედა ვიყავ მაგათთვის, როგორიც უნდა ვყოფილიყავი; სიკვდილს შემდეგ არც მაგათი მოვალე ვარ. ნათესავური კავშირი ვერ იარსებებს, თუ უწმინდესი, შეურყეველი სიყვარული არ ათბობს. უმადური შვილი გარეშეზედ უცხოა; დიდი დამნაშავეა, რადგან არა აქვს უფლება გულ-გრილად მოექცეს დედას.

„ხალხის წინაშე მუდამ ვთრთოდი შიშით, მაგრამ ახლა ღვთის წინა ვდგევარ და აღარაფრისა არ მეშინიან. სიკვდილს შემდეგ მომიშორებია თავიდამ სამარცხვინო ცბიერება; ახლა ვბედავ და აღვიარებ ჩემს აზრს, ვაცხადებ ჩემის გულის საიდუმლოს.

„ამ სახით, გადამიცია მთელი ჩემი ქონება ჩემის გულით საყვარელის კაცისათვის პიერ-ჟერმერ-სიმონ დე-ბურნევალისათვის, იმ პირობით, რომ ეს ქონება შემდეგ ჩვენს ძვირფას შვილს რენეს დარჩეს (ეს სურვილი უფრო გარკვევით არის გამოცხადებული ნოტარიუსის მიერ დამოწმებულს ოქმში).

„ჩემი უფროსი ვაჟები მომეცნენ დე-კურსელთან.

მარტო რენე დამებადა დე-ბურნევალისაგან. ვსთხოვ უფალსა, რომელიც განაგებს კაცის ბედ-იღბალს, მამა და შვილი არ ჩააგდოს ხალხის ყბაში, უყვარდეთ ერთმანეთი და მეც არ დამივიწყონ ჩემს საფლავში.

„აი ეს არის ჩემი უკანასკნელი განზრახვა და სურვილი“.

ბ-ნი კურსელი აღშფოთებული წამოდგა და დაიყვირა:

„ეგ ანდერძი გიჟისაგან შედგენილია“.

ამ დროს ბურნევალი წარსდგა წინ და რიხიანის ხმით გამოაცხადა: „მე, სიმონ დე-ბურნევალი, ვაცხადებ, რომ შინაარსი ამ ანდერძისა ნამდვილია და მართალი. მე დავამტკიცებ ამას, ვის წინაშეც გინდათ, თუნდა იმის წერილებითაც.

კურსელი გაექანა ბურნევალთან. მე მეგონა, ეს-ეს არის ერთმანეთს ეცემიან-მეთქი. ორივენი შედგნენ და თრთოდნენ აღელვებულნი.

კურსელმა უთხრა ბურნევალს: „თქვენ უსინიდისო კაცი ყოფილხართ!“

ბურნევალმა დამშვიდებით მიუგო: „მოწყალეო ხელმწიფევ, ჩვენ სხვა ალაგას გავსწორდებით მაგისათვის. ამდენ ხანსაც გაგისწორდებოდით, როგორც გეკუთვნისთ, რომ იმ უბედურის ქალის მორიდება არა მქონოდა, რომელსაც იმდენი ტანჯვა და უბედურება მიაყენეთ.

შემდეგ მე მომიბრუნდა: „თქვენ ჩემი შვილი ხართ, თუ გსურთ, გამომყვეთ, უფლება არა მაქვს ძალა დაგატანოთ და ჩემთან წაგიყვანოთ, მაგრამ, თუ დამთანხმდებით და გამომყვებით, მაგ უფლებას ყურადღებას არ მივაქცევ“.

ხმა არ გამიცია, ისე გავუწოდე ხელი და გამოვედით ერთად. იმ დროს სწორედ შეშლილსა ვგავდი.

ორის დღის შემდეგ ბურნევალმა მოჰკლა დუელში კურსელი. ჩემს ძმებს სკანდალისა შეეშინდათ და მიჩუმდნენ. დედი ჩემისაგან დატოვებული ქონება შუაზედ გავყავ და იმათ მივეცი, მივიღე გვარი ნამდვილის მამიჩემისა და უარ-ვყავ ის გვარი, რომელიც მეკუთვნოდა კანონით მხოლოდ ნამდვილად-კი ჩემი არ იყო.

ხუთის წლის შემდეგ ბურნევალიც მოკვდა და დღესაც ვერ გამომიგლოვნია...

ჩემი მეგობარი წამოდგა, გაიარგამოიარა ოთახში და პატარა ხანს უკან სთქვა:

„უნდა მოგახსენოთ, რომ, ჩემის აზრით, დედი ჩემის საქციელი გასაკიცხი არ არის. თქვენ როგორ-ღა ჰფიქრობთ?“

მე გავუწოდე ორივე ხელი და ძმურად ჩამოვართვი ნიშნად თანაგრძნობისა.

ი—ა კ—სა

და მერე იმათი ყურისმგდებელი აღარავინ იყოვო. ნავთ-სადგურზე დაიხარჯა დღემდე 80 მილიონი და საჭიროა მუდმივი სატეხნიკო ყურადღება ჰქონდეთო. ამ აზრით მთავრობას განუზრახავს სამის უმთავრესის ინჟინერის დანიშვნა, რომელთაც მიენდობათ ყურისგდება რუსეთის ყველა ნავთ-სადგურთა. ამათ გარდა უნდა დაწესდეს თოთხმეტი თანამდებობა სანავთ-სადგურო მუშაობათა უფროსებისა. ამათ მიეცემათ თანაშემწენი უფროსნი და უნცროსნი. უმთავრეს ინჟინერებს ექმნებათ ჯამაგირად 6,000 მან. წელიწადში, მუშაობათა უფროსებს — 3,600 მან. 5,000 მანეთამდე ნავთ-სადგურის მნიშვნელობის მიხედვით, უფროს თანაშემწეთ 2800—3000 მან. ხოლო უნცროსთ 1800—2000 მანეთამდე.

## უცხოეთი

**გერმანია.** კონსერვატორ გაზეთებს ძლიერ უხარიანთ იმ სიტყვის გამო, რომელიც იმპერატორმა ვილჰელმმა წარმოსთქვა აღლუმის დროს გენერლებისა და აფიცრების წინაშე ამბობენ, რომ ამ სიტყვას დიდი მნიშვნელობა ექმნება რეიხსტაგის მომავალ არჩევნებისთვისაო. „Vos. Zeit.-ი“, ერთგული გაზეთი გერმანიის მეფეებისა, ძლიერა სწუხს იმის გამო, რომ კანონ პროექტის უარყოფის გამო იმპერატორი იძულებულ იქმნა ბრძოლაში ჩარეულიყო.

რიხტერის გაზეთი Fresc. Reit სწერს: გერმანიის გაზეთებს სრული უფლება არა აქვთ თავისი აზრი გამოსთქვან. ვიტყვით მხოლოდ, რომ ვილჰელმის სიტყვა, რომელიც ამას წინად წარმოთქვა, მთავრობის პროგრამას როდი შეადგენს. ასე რომ ყოფილიყო, საჭირო იქნებოდა ამ სიტყვას ან კანცლერი დასწრებოდა და ან ხელი მოეწერა. რიხტერის გაზეთი ამბობს კიდევ: „ჩვენ არ გვახსოვს, რომ „რეიხსტაგის კამათობის დროს ვისმე ისეთი სიტყვები წარმოეთქვას, რომლის წარმოთქმაც შეუძლებელია განათლებულ ქვეყანაში“, როგორცა ბრძანა იმპერატორმა. დასასრულ, გაზეთი სწერს: ისეთი სიტყვები, როგორიც წარმოსთქვა გუშინ აღლუმის დროს იმპერატორმა, პრუსიის მეფის ფრიდრიხ-ვილჰელმ მეოთხის შემდეგ არც ერთს მეფეს არ წარმოუთქვამსო.

**ინგლისი.** ლონდონში შეკრებილმა ინგლისის მაღნების მუშათა დელეგატებმა გადასწყვიტეს,—მრავალის ხმის უმეტესობით, დაუკავშირდეთ ინგლისის ნავოსანთაო. ეს კავშირი ძლიერ სასარგებლო იქმნება ორსავე მხარისთვის. პირობა დასდეს: თუ ვინიცობაა ნავოსნები გაიფიცნენ, მაღნების მუშებმა ყოველ გვარი საშუალება უნდა იღონონ, რომ იმ ქალაქში, სადაც გაფიცვა მოხდა, ნახშირის გაგზავნას ხელი შეუშალონ. მეორეს მხრით, თუ ვინიცობაა მაღნების მუშები გაიფიცნენ, ნავოსანთ გაფიცულ ადგილას არ უნდა შემოიტანონ ნახშირი სხვა ადგილებიდგანა.

## წვრილი ამბავი

დარვინის მიმდევარი ერთი ინგლისელი მეცნიერი, ბეკმანი ამბობს, რომ ხალხი რაც უფრო განვითარებულია, იმდენად ფიზიკურად სუსტი და დაუძლურებულიაო. მოვა დრო, როდესაც განათლებული ადამიანი სრულიად დაუძლურდება და მაშინ მის ადგილს დაიჭერს ფიზიკურ ძალ-ღონით სავსე ერი, რომელსაც ცივილიზაცია ჯერ არ უგემიაო.

— ჩიკაგოს გამოფენის დროს საოპერო დარბაზში წარმოადგინეს დრამა „კოლუმბი“. თეატრის დარბაზი საუცხოვოდ იყო მოწყობილი. მაგრამ ფარდა-კი არ იყო და ფარდას მაგიერ მრავალი ელექტრონული ლამპარი ანათებდა და თვალთაგან ჰფარავდა სცენას ანტრაქტების დროს. წარმოდგენას 10,000-ზედ მეტი მაყურებელი დაესწრო. პიესაში მონაწილეობას იღებდა 2,500 არტისტი და ხორო.

— შვეიცარიაში ჯერ ისევ 1874 წელს უარყოფილ იქმნა და საკანონმდებლო წიგნებიდგან გამორიცხული ის მუხლი, სადაც სიკვდილით დასჯაზედ იყო ლაპარაკი, მაგრამ ეხლა შვეიცარიის ერთმა კანტონთაგანმა საჭიროდ სცნა ამ კანონის განახლება. ამისი მიზეზი იყო მართლაც რომ შესაზარი მკვლელობა, რომელიც მოხდა შარშან ლუნინჯენის კანტონში. ავაზაკები თავს დაესხნენ ერთს ოჯახს და სუყველას ყელები დასჭრეს. არ დაინდეს არც დიდი და არც პატარა: მამა, დედა და შვილები ყველანი დახოცეს. აი ამ ავაზაკებს გადუწყვიტეს სიკვდილით დასჯა.

—კარგა ხანია, რაც გამოვიდა უკანასკნელი თხზულება ლეტურნოსი. ამ თხზულებაში აწერილია სხვათაშორის ზნე-ჩვეულება ზოგიერთ ველურ ხალხისა. ლეტურნოს მოჰყავს მეთვრამეტე საუკუნის ცხოვრებიდგან შემდეგი მაგალითები: ერთმა შეურაცხყოფილმა ინდოელმა შურის საძიებლად თავის შვილს თავი გაუჭეჭყა თურმე. ინდოეთის ჩვეულებისამებრ მოწინააღმდეგემ მაგიერი იმითი გადაუხადა, რომ თავისი ცხრა წლის ქალი ხანჯლით მოჰკლა; პირველმა კიდევ სხვა თავისი შვილთაგანი მოჰკლა სამაგიეროდ; მეორეც არ ჩამორჩა და ასე მთელი გვარეულობა ამოსწყვიტეს!

### წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ „ივერიის“ საშუალებით ნება გვიბოძოთ დიდი მადლობა გამოვუცხადოთ ქვემოდ დასახელებულთ, რომელთაც ბახვის სახალხო სამკითხველოს სასარგებლოდ მოგვაწოდეს შემოწირულება. აი იმათი სია:

ნადეჟდა ა. ჭყონიასამ 5 მანათი ფულად და რამდენიმე წიგნი „ისტორიულის ნარკვევისა“, ნინო ქ. გოგიტიძისამ 3 მან. ფულად და 6 ცალი რუსულ წიგნებისა, ტიტე ს. ქოქოძემ 10 მან., მიხაკო რ. შავიშვილმა 5 მან., მაქსიმე გ. ჩხეიძემ 3 მან., ალექსანდრე თოიძემ 3 მან. ფულად და 13 ცალი ქართულ და რუსულ წიგნებისა. გრიგოლ სიმ. თენიეიშვილმა 3 მ., ყარამან მამულაიშვილმა 3 მ., ლომინ გ. დოლიძემ 2 მ. 50 კ., ქიშვარდი ნიკოლაიშვილმა 2 მ., იოსებ გორდელაძემ 2 მან. ივლიანე ი. სულუხიამ 1 მ.

ბახვის სასოფლო სამკითხველოს
4 მაისი 1893 წ. გამგენი
ბახვი.

## დეპეშა

9 მაისი

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდნი მთავარნი გიორგი და მიხეილ ალექსანდრეს ძენი, დიდნი მთავრინანი ქსენია და ოლგა ალექსანდრეს ასულნი გუშინ დილის 10 საათზედ წაბრძანდნენ ლივადიიდგან იალტას და იქიდგან ჯავშიან ხომალდით „სინოპ“-ითა სევასტოპოლს.

ნება დართულია კადეტის კორპუსებში შტატგარეშე, თავის ხარჯზედ მოწაფეთა მიღება და გამოცხადებულია წესდებაც.

„გრაჟდანინი“ იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა, 1895 წლის 1 იანვრიდგან შემოღებულ იქნას არაყის მონოპოლია 4 გუბერნიაში და ამ საქმისთვის გადადებულ იქმნა 750,000 მანათიო. „სავაჭრო და სამრეწველო გაზეთი“ იუწყება, რომ წელს რუსეთში საზოგადოდ კარგი მოსავალია ქირნახულისაო.

**მოსკოვი.** მათ იმპერატორებით უდიდებულებათა დასახვედრად მოსკოვში დიდს მზადებას შეუდგნენ. კრემლშიაც დიდი მზადებაა იმპერატორის ალექსანდრე მეორის ძეგლის ასაგებად.

**რომი.** ჯიოლიტიმ განუცხადა პალატას, რომ გუშინდელ კენჭის ყრის გამო იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, კაბინეტმა მეფეს სამსახურიდგან გადადგომის ქაღალდი მიართვაო; მეფე თავის გარდაწყვეტილებას შემდეგ გამოაცხადებს; ხოლო ჯერ-ჯერობით მინისტრები თავიანთ თანამდებობას ასრულებენ.

**ბელგრადი.** გუშინ მეფე გემით დაუხვდა დედოფალს—დედას; გემიდგან ერთად გადმოვიდნენ კლადონში; მცხოვრებთ დიდი ოვაციები გაუმართეს; მეფე 11 მაისს დაბრუნდება. პაშიჩი დასთანხმდა პეტერბურგის დესპანობაზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 7 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,72 | $7^3/_4$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 154 | 155 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,66 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 245 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 222 |
| 4% მესამე სესხისა. . | $99^3/_8$ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $193^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | $100^1/_4$ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 101 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | $100^1/_4$ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 97 |

## განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—54)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათ სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებანი: საზებიო და დედათ სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ უძრავი მამულები ქვემოდ დასახელებულ პირთა, მიღებულნი გირაოდ ბანკში, დანიშნულნი არიან, თანახმად წესდების 14 §, საჯაროდ გასასყიდად, რადგან ამ ბანკის წესდების ძალით სავალდებულო გარდასახადი პატრონებისაგან არ არის შემოტანილი.

გასყიდვა არ მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხვედრს გარდასახადს შემოიტანენ.

**ძველის კატეგორიისა: ა) ქალაქის მამულები.**

ბეთანოვი, სტეფანე ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლივე ყოველ გვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 საჟენი და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეში.

ტეხმინცევისა, აკოფ მიკირტიჩისძისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავლითა, ბაღით და ყოვლისვე მოწყობილებით, მიწა ზომით 370 ოთხ-კუთხ. საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. ახალციხეში.

ტერ-შმავონოვი, ნიკოლოზ ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ფლიგელით და ყოველისავე მოწყობილებით, მიწა ზომით 86 ოთხ-კუთხ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება. 6 ნაწილში, 1 განყოფილებაში ქ. ტფილისში, მოლონინისა და ბებუთოვის ქუჩაზე, № 21.

ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ ზაალის ძე და ჯანდიერი ლევან გიორგის ძე. ორ-სართულიანი ქვიტკირის სახლი ფლიგელით და მიწით, ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. თელავში.

ნიკოლაძე, ნიკოლოზ იაკობის ძე. ერთ-სართულიანი ქვიტკირის სახლი ეზოთი, მიწა ზომით 235 ოთხ-კუთხი საჟ., მე-7 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნავთლუღში.

**ბ) სოფლის მამულები**

ხიმშიევები: ნიკოლოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძენი და ეკატერინა ბეჟანის ასული. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 653 დესეტინა და 1820 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფ. ანტნის-ხევში.

ჭიჭინაძისა, სოფიო როსტომის ასულისა. სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილები, ტყე, მიწა ზომით 291 დეს. და 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფელ დიდ შავთას.

აბხაზი, გიორგი ალექსანდრეს ძე: სახნავი, სათიბი, საძოვარი ადგილები შენობები და ტყე ზომით 2867 დეს. 562 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. და მაზრაში სოფ. სადახლოსა, ჩოჩქანსა, ქვემოცოფსა, თოხლიკილისა, არაბატალას, პალიან-თაქიანსა, გალიტალასა, ხუჯაბას, საძოვარი ადგილები ლიალვარს, ხუდიბანს, არაბატალასა და გულიბალას.

კერესელიძე, ანასტასია გრიგოლის ასული. სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში.

ამილახვრები: ზაქარია ალექსანდრეს ძე და ქეთევან ქრისტეფორეს ასული და თაზიევისა მარიამ ალექსანდრეს ასული. სახნავი სასახლკარო მიწები, ზომით 33 დესეტინა

და 320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ გრაკალში.

ფალავანდიშვილი ივანე ანტონის ძე. სახნავი და საძოვარი მიწები, ზომით 90 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ პატარა თამარაშენს,ქვათთრასა, ოქონასა და ხიდის-უბანში.

ქობულოვები: იოსები, სოლომონი და ზაქარია ადამის ძენი. სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე, ზომით 823 დესეტინა და 1200 ოთხკუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფელ კონდოლში.

თარხან-მოურავი დავით იორამისძე. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დესეტინა და 876 ოთ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში. ტფილისის და გორის მაზრაში, სოფელ ახალ-ქალაქს მუხაურს და სათარხნოში.

კალატოზოვი ვასილი აბელის ძე. სახნავი მიწები, ზომით 37 დესეტ. და 1200 ოთ კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზ'აში, სოფელ ბრეთში.

ვაჩნაძე იოსებ რევაზის ძე. სახნავი მიწები და ტყე, ზომით 663 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფელ. ბარემკალას.

ვახვახიშვილისა ეკატერინე გიორგის ასული. სახნავი მიწები და ტყე, ზომით 308 დესეტინა, 555 ოთხკუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში.

შატბეროვისა, ლიუდმილა ათანასეს ასულისა: ეზო, შენობანი და სახნავ-სათესი მიწები, ზომით 18 დეს. და 1600 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ხამურს.

ბარნაბიშვილი, ანასტასია სოლომონის ასული, სახნავი მიწები, ზომით 19 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. დიცში.

ქარუმიძე, ივანე პაატას ძე: სახნავ-სათესი მიწები, ზომით 34 დეს. 1320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. თორტიზაში.

თარხან-მოურავი, ლუკა ესტატეს ძე: სახნავ-სათეაი, საძოვარი ადგილები, ტყე და ბაღი, მიწა ზომით 269 დეს. 1325 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, აგარაკები მუხაურს, ზემო-ხანდაკს და ახალციხეს.

ბაგრატიონ მუხრანსკი ივან კონსტანტინეს ძე. სახნავი მიწები და ტყე, ზომით 660 დესეტინა და 1800 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, ტიანეთის მაზრაში, აგარაკ ბოტკოში.

აღა რაჰიმ-ჰაჯი-იბრაჰიმ-ზეინალოღლი და სხვანი. სახნავი და სათიბი ადგილები, ზომით 166 დესეტინა და 940 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, ბორჩალოს განყოფილებაში, სოფელ ყიროხლოს.

პოლტარაცკი, ალექსანდრე ეგნატეს ძე, სახნავი, საბალახე, საბოსტნე ადგილები, ბაღი და შენობები, მიწა ზომით 148 დესეტინა და 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, სოფელ ოქროყანას.

ჯომარჯიძე, თომა იაკობის ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით, სამზარეულოთი და სხვა შენობებით ეზოთი და წყაროთი, მიწა-ზომით 1 დეს. ოდენა, ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, ს. ოქროყანას.

გაბაევი, იოსებ დავითის-ძე. სახნავი, სასახლკარო ადგილები, ბაღი და შენობები, მიწა ზომით 148 დესეტინა და 1860 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ოქროყანაში.

ავსარქისოვი, ფარსადან იაკულის ძე, იარალოვი სერგეი ივანეს ძე და პირო მელქისედექ ოსების ძე: სახნავი სათიბი, საძოვარი და სასახლკარე ადგილები, ზომით 623 დეს. და 888 ოთხ-კუთხი საჟ., ტფიილისის გუბერნიაში, გორის მაზ. სოფ. სკრაში.

გაბაშვილი, ვასილ დავითის ძე: სახნავ სათესი, ეზო, საძოვარი და საბალე ადგილები, მიწა ზომით 106 დეს. 320 ოთხ კურხ.საჟ., ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ერტისში

გედევანიშვილი, ეკატერინე ივანეს ასულისა: სახნავ-სათესი, სათიბი და საძოვარი ადგილები, მიწა ზომით 111 დეს. 1560 ოთხ-კუთხ აჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ მუხათს-გვერდში.

მეჩითოვები: იაგორ დარჩო და ნინო დარჩოს ძენი და ასული და სხვებიც. სახნავი და სასახლკარე ადგილები, ზომით 151 დეს. და 657 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში სოფ. ნაწრეთში.

გაბაშვილი, იოსებ დავითის ძე სახნავი, საძოვარი, სასახლკარე და ტყე, ზომით 178 დეს. და 2011 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. საგაბაშვილო-თხინვალაში.

ანდრონიკაშვილი, რევაზ იოსების ძე: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 1053 დეს. და 1440 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, აგარაკ ზემო ხოდაშენში.

ციციშვილი, დავით ივანეს ძე: სახნავი, საძოვარი, სასხლკარე ადგილები და ტყე, ზომით 87 დეს. და 960 ოთხ-კუთხი საჟ ,ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელს ქვემო-ნიჩბისში.

ავალიშვილისა, ოლგა ედუარდის ასული: სახნავი მიწები, ზომით 12 დეს. და 2320 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. საშაბუროში.

ბარათაშვილები, იოსები, გიორგი, დავითი, მარიამ და ბარბარე ივანეს ძენი და ასულნი: სახნავ-სათესი, სათიბი, საბაღე და სამოსახლო ადგილები, მიწა ზომით 536 დეს. 1920 ოთხ-კუთხ. საჟ., ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარავ ყამარლოს (პატარა რატევანს).

II ახალის კატეგორიისა

ა) ქალაქის მამულები

$27^{1}/_{2}$ წლის ვადით

მელითაური, მიხეილ გიორგის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და შენობებით. მიწა ზომით $81^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს 1 ნაწ. 1 განყ. ოლგას ქუჩაზედ.

ჭილაევები ნიკოლოზ ექვთიმეს ძის და სარრა ფირანის ასულისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელითა მიწა ზომით $60^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხ. საჟ. 11 ნაწილ. ავჭალის ქუჩაზე № 309 ქ. ტფილისს.

ერისთავი, ნინო ალექსანდრეს ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფის სართულით, ორ-სართულიანის სარდაფიანის ფლიგელით და შენობებით, მიწა ზომით 144 ოთხ-კუთხი საჟ., მე 2 განყოფილების ნაწილში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ტფილისს.

ვასილიევთა, ანნა ერმალოზი: ასულის, სამსონ, სტეფან, პეტრეს იაგორ და ანნა ეფრემის ძეთა და სმირნოვისა მარიამ ექვთიმეს ასულის, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანი ფლიგელი ყოველისავე მოწყოილებით და მიწა ზომით $250^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. 8 ნაწ. 2 განყ. რიყეზე № 77 ქ. ტფილისს.

მაშადი აბუზარ მოლლა ფეიზულა-ოღლი: სამ სართულიანი კვითკირის სახლი სართულიანის სარდაფითა და სამ-სართულიანი ფლიგელი მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ. 6 ნაწ. 1 განყ. სეიდაბათი, ვარანცოვის ქუჩაზე ქ. ტფილისს.

კადურინი, ვასილ თევდორეს ძე: ერთ-სართულიანი სახლი ყოველივე კუთვნილებით, მიწა ზომით 200 ოთხ-კუთხი საჟ., მე-9 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ვარანცოვის ქუჩაზედ.

ბეჟანოვი, მიხელ ბეჟანის ძე: ორ-სართულიანი ქვითქრის სახლი, ბაღი და საბოსტნე ადგილი, მიწა ზომით 3090 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-10 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, დიდ-უბეში.

არნაუტიანცი, გრიგოლ იოსების ძე: სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სარდაფით, მიწა ზომით 14 ოთხ-კუთხი საჟენი და $2^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი არშინი. მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, იარმუკაში.

შაბუროვები, გრიგოლ და სოლომონ ივანეს ძენი: 1-ლი: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, სამ-სართულიანი ფლიგელი, ფურნე, თავლა და ბაღი, მიწა ზომით 714 ოთხ-კუთხი საჟ., და 2-ე: ბაღი მარნით, სიგძით 63 საჟ. სიგანით სამხრეთით 10 საჟ. და ჩრდილოეთით 9 საჟ., ქ. სიღნაღში.

ალელოვი, იოსებ დავითის ძე: სამი თითო სართულიანი სახლი ფლიგელით და ყოველივე კუთვნილებით, მიწა ზომით: 91 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. გორში.

დიასამიძე, ნიკოლოზ დავითის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ანუ მაღაზია და მიწა ზომით $661^{1}/_{2}$ ოთხ კუთხი საჟ. ქ. გორში.

ანდრონიკოვისა, თებრონე გიორგის ასული. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწა ზომით; სიგრძით 25 საჟენი და სიგანით 15 საჟენი, ქ. სიღნაღში.

ციციშვილი, თომა კონსტანტინეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და ყოველისავე მოწყობილობით მიწა ზომით 112 ოთხ კუთხი საჟ. ქ. გორში.

თავდგირიძე, ბესარიონ გაბრიელის ძე: ორი თითო სართულიანი კვითკირის სახლი, ფურნე და ბაღი, მიწა ზომით: სიგრძე 51 და სიგანე 48 საჟენი, ქ. გორში.

გაბაევთა, მუღდუსი გეურქ და ავეტიქ ნიკიტის ძეთა: ერთ-სართულიანი ქვტკირის სახლი, ორი ფურნე დუქანი სარაია, თავლა ამბარი და ქარვასლა, ზომით 2730 ოთხ-კუთხი საჟენ, ალექსანდრეპოლში მ-41 უბანში.

ტერ-დავითიანცთა: გრიგოლ და თომა სტეფანის ძეთა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და დუქანი მიწა სიგრძით 30 და სიგანით 19 არშინი ქ. ერივანში, დემირბულაღის უბანში.

ქერბალაი-ალი -ახპერ-ჰაჯი-ყასუმ ოღლი, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, საყინულეთი და თავლით სახლი და ბაღი, მიწა ზომით: 12366 ოთხ-კუთხი საჟ. და 2 არშ. ქ. ერევანში, შაგარის ნაწილში სირთი-ქიუჩას ქუჩაზედ.

მარქაროვებისა ამბარცუმ და არუთინ ადამას ძენი: ორ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი და ერთ-სართულიანი სარაიით ფლიგელი ზომით სიგრძე $84^{1}/_{2}$ და სიგანე 31 არშინი ქ. ერევანში, ტაპაბაშინის ნაწილში.

ნიკოლაძე, ეკატერინე იაკობის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით, სარდაფის სართულით ზომით 370 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ქუთაისში, გოსპიტლის ქუჩაზედ.

ჩიჯავაძე, (იგივე ჯივჯავაძე) იაკობ მაქსიმეს ძე: ორ-სართულიანი სახლი, ბაღი და ვენახი, მიწა ზომით 3 დესეტინა და 1275 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-7 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნავთლუღში.

მირაქოვი, სტეფან ასლანის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწა ზომით $22^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. 76 ნაწ. 2 განყ. ყრუ ქუჩაზე ყაზაროვის ქუჩისკენ ქ. ტფი-ლისს.

გაბაევი, იოსებ დავითის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი და ორი ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ., 1 ნაწილში, ქ. ტფილისს, ოლგას ქუჩაზედ.

ალელოვი, იოსებ დავითის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი, ფურნე და თავლა, მიწა ზომით 125 ოთხ-კუთხი საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქ. გორში.

ბაქრაძე, ნიკოლოზ ივანეს ძე: ოთხი თითო სართულიანი ქვითკირის სახლი, სარაია და ბაღი, მიწა ზომით 704 ოთხ-კუთხი საჟ., მე-9 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ელისაბედის ქუჩაზედ №№ 35 და 37.

გულიშამბაროვები, სიმონ, სტეფანე, რუბან, ვასილი და სოფიო იოსების ძენი და ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით 110 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. გორში.

ჰაჯი-ზეინალ-აბდინ-ტაგი-ოღლი-ტაგიევი: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელითა და ერთ-სართულიანივე ფლიგელი, მიწა ზომით ჩრდილოეთით და სამხრეთით 11 საჟ. და $1^{1}/_{2}$ არშ. აღმოსავლეთით და დასავლეთით 20 საჟ. და $1^{1}/_{4}$ არშ. ქ. ბაქოში, ფორშტატში № 774.

აკოფჯანოვი, მიხეილ მარკოზ-ს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით 32 ოთხ-კუთხი საჟ., მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, შუაბაზარში.

ჰაჯი-ბახმან-ქერბალაი-ჯაფაროღლი, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სართულ-ნახევრიანის ფლიგელითა და შენობით მიწა ზომით 150 ოთხ-კუთხი საჟ. 2 ნაწ. შემახიის გზაზე ქ. ბაქოს.

პროტოპოპოვისა, მარიამ ბაგრატის ასული: ორ-სართულიანი სარდაფით ქვითკირის სახლი და ორ-სართულიანი სარდაფათ ფლიგელი, მიწა ზომით 225 ოთხ-კუთხი საჟ., მე-4 ნაწილში, აღმართის ქუჩაზედ.

პროტოპოპოვისა, მარიამ ბაგრატის ასული: ერთ-სართულიან შენობა ანუ დუქნები მიწა ზომით $90^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ., 8 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს. რიყეზედ.

ბადერი, ჰენრიხ ფრიდრიხის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი სარდაფით ფლიგელი, მიწა ზომით 141 ოთხ-კუთხ. საჟ. ქ. ტფილისს, 10 ნაწილში 2 განყ. 1 მალაკნების ქუჩაზე,

ტუშაბრამაშვილი ლუარსაბ ისაკის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ხეხილიანი ვენახი, მიწა ზომით დაახლოვებით $^{1}/_{4}$ დეს. ქ. თელავს.

დევიძე, გიორგი ტატოს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირიანი სახლი, ერთი სართულიანი სახლი და ხეხილიანი ვენახი, მიწა ზომით 590 ოთხ-კუთხ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება, ქ. თელავს.

ლალაევთა ზამბახ არტემის ძე და სუმბათ აბრამის ძე: ორ-სარულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით $433\ ^{4}/_{10}$ ოთხ-კუთხ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება. ქ. ბაქოს, 1 ნაწილში, 1 განყ. № 405.

ამირიძე, დავითი ივანეს ძე:2 ორ-სართულიანი ქვითკირის სახ ლი, მიწა ზომით 70 ოთხ-კუთხ. საჟ., ქ. ტფილისს, 3 ნაწილში. 1 განყო., ორბელიანის ქუჩაზე.

ლალაევები: ჯუმშუტ-ბეგ ნიკიტის ძე და რომანოზ ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი შენობები, მიწა ზომით 330 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდეს, 1 განყოლილებაში, ქ. ბაქოში, მილიუტინისა და ბარიატინსკის ქუჩაზედ.

აბოევი, ალექსანდრე ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და 2 ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 84 ოთხ-კუთხ. საჟ., ქ. ტფილისს, 9 ნაწილში, 2 განყ: ავჭალის ქუჩაზე.

რჩეულოვები: ეფემია ალექსის ასული და დარია, თამარა და მარიამ გიორგის ასულნი. სამი ორ-სართულიანი სარდაფით სახლი, მიწა ზომით 160 ოთხ- კუთხი საჟ.: მე -9 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილიმს, ელისაბედის ქუჩაზედ.

მირველოვები: არტემ და იაკობ გრიგოლის ძენი: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორი ერთ სართულიანია სათდაფი ფლიგელით, მიწა ზომით 57 ოთხ-კუთხი საჟ., მე-2 ნაწილში 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ამაღლების ქუჩაზე.

ფერმანგოვი, ბეგლარ სტეფანეს ძე: სარდაფი ორი განყოფილებით და ამბარი, მიწა ზომით 512 ოთხ-კუთხი საჟ., მე-8 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნიკოლოზის ქუჩაზედ.

ადარონოვისა, ეკატერინე იაგორის ასული: ორ-სართულიანი სარდაფით სახლი და ორ-სართულიანი შენობა, მიწა ზომით $287^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ., მე-5 ნ-წილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს.

ყაზაროვი, ხაჩატურ მიკირტიჩას ძე: ორ-სართულ. ქვითკ. სახლი სარ-სარდაფით, ფლიგელით და ბაღით სახ-